



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 15 ივნისი

დისციპლინური საქმე №77/22

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2022 წლის 16 მაისის №77 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 18 მაისის №296/77-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

### 1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ არ გამოიკვლია არცერთი ფაქტობრივი უსწორობა და წარდგენილი მტკიცებულებები, არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობები და უარი უთხრა მხარეს დამცავი ორდერის გამოცემაზე.

### 2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2020 წლის 4 დეკემბერს --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა --- მოპასუხე --- პოლიციის --- განყოფილების, ასევე გამომძიებელ --- მიმართ და მოითხოვა №-- შემაკავებელი ორდერის გაუქმება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 4 დეკემბრის განჩინებით --- სარჩელზე დაუდგენდა ხარვეზი. კერძოდ, მოსარჩელეს დაევალა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშით და ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით შედგენილი სარჩელის სასამართლოში წარდგენა. სარჩელი და თანდართული მასალების იმდენი ეგზემპლარის წარდგენა რამდენი მხარეცაა საქმეში. ასევე, მოსარჩელეს დაევალა შემაკავებელი ორდერის წაკითხვადი ვერსიის ან დედანი დოკუმენტის წარდგენა. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად მოსარჩელეს განესაზღვრა ხარვეზის განჩინების ჩაბარებიდან 3 დღე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე --- 2020 წლის 8 დეკემბრის განჩინებით --- სარჩელი მოპასუხე --- პოლიციის --- განყოფილებისა და გამომძიებელ --- მიმართ, 2020 წლის 2 დეკემბერს შედგენილი №-- შემაკავებელი ორდერის ბათილად ცნობის თაობაზე, მიღებული იქნა სასამართლო წარმოებაში.

2020 წლის 14 დეკემბერს -- -- სასამართლოს სხდომის დახურვის შუამდგომლობით მიმართა დაინტერესებული პირის წარმომადგენელმა.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 16 დეკემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა -- --; დაინტერესებული პირის წარმომადგენლის შუამდგომლობა სასამართლო სხდომის დახურვის თაობაზე დაკმაყოფილდა.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2.2. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით -- -- გაასაჩივრა 2021 წლის 22 იანვარს. -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- 2021 წლის 2 თებერვლის განჩინებით -- -- საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 12 თებერვლის დახურული სხდომის ოქმის თანახმად, -- -- შუამდგომლობა მტკიცებულებათა დართვის თაობაზე დაკმაყოფილდა. 2021 წლის 16 თებერვალს -- -- სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებები წარადგინა -- --.

2021 წლის 19 თებერვალს -- სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმების გადაცემის მოთხოვნით მიმართა -- --. 20 თებერვალს -- -- სააპელაციო სასამართლოში წარადგინა მტკიცებულებები. 23 თებერვალს -- სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა მოსარჩელემ 2021 წლის 22 თებერვლის სხდომის ოქმის გადაცემის მოთხოვნით.

-- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება -- -- გაასაჩივრა 2021 წლის 9 მარტს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 17 მარტის განჩინებით -- -- განცხადება, -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 26 თებერვლის განჩინების განმარტების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

2.3. საკასაციო საჩივარი -- -- წარადგინა 2021 წლის 29 მარტს. -- -- საქმის მასალებს გაეცნო 2021 წლის 1 აპრილს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 2 აპრილის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის მოტივით.

2.4. -- -- 2021 წლის 21 აპრილს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 26 აპრილის განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ -- -- განცხადებაზე დადგენილ იქნა ხარვეზი. განმცხადებელს განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 10 დღის ვადა.

-- -- ხარვეზის შევსების მიზნით 2021 წლის 13 მაისს განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და წარადგინა CD დისკი, რომელზეც დატანილია სოციალური ქსელი „Facebook“-დან ამოღებულ მომხმარებელს (სამომხმარებლო სახელით) -- -- და -- -- შორის არსებული მიმოწერა 2020 წლის 25 ივლისიდან 2020 წლის 27 ივლისამდე პერიოდით. განმცხადებელმა, ასევე მიუთითა, რომ მის მიერ დაცული იყო განცხადების შეტანის ვადა, ვინაიდან მან ზემოხსენებული დისკი წარადგინა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელმაც განუხილველად დატოვა საკასაციო საჩივარი. აღნიშნული განცხადებით, -- -- ასევე მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

-- -- 2021 წლის 17 მაისს კვლავ მიმართა განცხადებით -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 18 მაისის განჩინებით -- -- გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა 10 დღით განჩინების ასლის ჩაბარებიდან

-- --, 2021 წლის 21 მაისს, 1 ივნისსა და 11 ივნისს, ხარვეზის შევსების მიზნით, განცხადებებით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. 2021 წლის 11 ივნისის განცხადებით, -- -- მოითხოვა საქმის წარმოების განახლება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების შესახებ.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 14 ივნისის განჩინებით -- -- გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა 10 დღით განჩინების ასლის ჩაბარებიდან.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 14 ივნისის განჩინებით -- -- შუამდგომლობა მოსამართლის აცილების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

-- -- 2021 წლის 22 ივნისს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 18 ივნისის წერილი და დოკუმენტის გასვლის ბარათი, იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მის მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების განცხადება შეტანილ იქნა სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის განჩინებით -- -- განცხადება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების განახლების მოთხოვნის ნაწილში ცნობილ იქნა დაუშვებლად და დარჩა განუხილველად. -- -- განცხადება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის №3/7700-20 ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში ცნობილ იქნა დასაშვებად.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 5 ივლისის განჩინება, კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- --.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 16 ივლისის განჩინებით -- -- შუამდგომლობა მოსამართლის აცილების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ივლისის განჩინება, კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- --.

2.5 2021 წლის 27 ივლისს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 6 აგვისტოს განჩინებით -- -- კერძო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი.

-- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს -- -- გაუგრძელდა კერძო საჩივარზე, დადგენილი ხარვეზის შევსების ვადა 10 დღით.

-- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

2022 წლის 3 თებერვალს -- -- სასამართლოს კერძო საჩივრით მიმართა -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 9 მარტის განჩინებით კერძო საჩივრების ავტორს -- -- კერძო საჩივრების ხარვეზის გამოსწორებისათვის განესაზღვრა ვადა 5 დღე. კერძო საჩივრების ავტორს -- -- დაევალა იმ განჩინების მითითება, რომელზეც აქვს წარდგენილი კერძო საჩივრები.

2022 წლის 21 აპრილს საქმე განსახილველად გადაეცა -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 1 მაისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

2.6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 16 თებერვლის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი -  
- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.12.2021წ. განჩინების გაუქმების თაობაზე, დარჩა განუხილველი დაუშვებლობის მოტივით.

-- -- 2022 წლის 11 მარტს კერძო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

2022 წლის 31 მარტს საქმე განსახილველად გადაეცა -- --.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 8 აპრილის განჩინებით -- -- დაევალა მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში ხარვეზის შევსება.

-- -- 2022 წლის 14 აპრილსა და 15 აპრილს მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და წარადგინა დაზუსტებული კერძო საჩივარი.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით მის მიერ გასაჩივრებულია -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2022 წლის 25 იანვრის განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა -- -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

2022 წლის 21 აპრილს საქმე განსახილველად გადაეცა -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 1 მაისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

### **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა, ფართო გაგებით, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, წინამდებარე გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, წარადგინონ მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და

შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

დადგენილია, რომ -- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 2 თებერვლის განჩინებით -- -- საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. სასამართლოს 2021 წლის 12 თებერვლის დახურული სხდომის ოქმის თანახმად, -- -- შუამდგომლობა მტკიცებულებათა დართვის თაობაზე დაკმაყოფილდა. -- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები მტკიცებულებათა გამოკვლევის, შუამდგომლობების დაკმაყოფილებისა და დამცავი ორდერის გამოცემაზე უარის თქმის თაობაზე შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად მიღებული განჩინებების შემოწმებას, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში, რადგან წარმოადგენს აქტის კანონიერებაზე ზედამხედველობას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

#### **გადაწყვიტა:**

-- -- 2022 წლის 16 მაისის №77 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე --  
-- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
**დამოუკიდებელი ინსპექტორი**